

უოლტერ ბარტონ ჰარისი

ბათუმიდან ბაღდადამდე თბილისის, თავრიზის და სპასეთის ქურთისტანის გავლით

ინგლისელმა ჟურნალისტმა, მწერალმა და მოგზაურმა უოლტერ ბარტონ ჰარისმა (1866-1933) პოპულარობა მოიპოვა თავისი ნაწერებით მაროკოზე, სადაც მრავალი წლის განმავლობაში The Times-ის სპეციალურ კორესპონდენტად მუშაობდა. იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის თბილისის მოსახლეობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახებ.

Walter B. Harris, From Batum to Baghdad Via Tiflis, Tabriz, and Persian Kurdistan. To I H. R. H. The Prince of Wales, This Book is, by Special Permission, Dedicated by The Author. Edinburgh: W. Blackwood & Sons, 1896

TIFLIS.

TIFLIS, the capital of Transcaucasia, with its population of nearly 100,000 souls.

ტიფლისში, ამიერკავკასიის დედაქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 100,000 სულაა.

(36)

Before entering upon any description of the city, some idea must be given as to the strange conglomeration of inhabitants that flock its streets, for it is to the crowd that much of what is interesting in Tiflis owes. True, the Armenian, with his shiny broadcloth and Jewish type of countenance, adds little to the attraction of the place, though it must be confessed that from the – traveller's point of view, if from no other, he is most useful. Nearly all the banks and most of the shops are in his hands, from his ranks spring the guides and interpreters, and go where one will one finds him a ready linguist and polite, so long as he is paid. But from the artistic point of view the lazy, good-natured Georgian is charming, as he swaggers about with his handsome looks and becoming costume. True, he is a lazy, pleasure – seeking creature, about whose morals the (38) less said the better, but his appearance of good looks and good nature, and his dandy airs, seem to render him a favourite everywhere. No one seems to realise better than he that he has the reputation of coming from the purest stock in the world, and of being a member of its handsomest.

სანამ ქალაქის აღწერას შევუდგებით, გარკვეული წარმოდგენა უნდა შევიქმნათ მოსახლეობის უცნაური თავშეყრის შესახებ, რომლებიც მის ქუჩებს ავსებენ, რადგან რაც კი საინტერესოა ტფილისში, დიდწილად ხალხის გამოა. მართალია, სომეხი თავისი პრიალა ტანსაცმლითა და ებრაული სახით, ბევრს არაფერს მატებს ამ ადგილის მიმზიდველობას, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მოგზაურის თვალსაზრისით, თუ სხვა არაფერი, ის ყველაზე სასარგებლოა. თითქმის ყველა ბანკი და მაღაზიების უმეტესობა მის ხელშია, ისინი ხდებიან გიდები და თარჯიმნები და სადაც არ უნდა მიხვიდე, ის უკვე უცხო ენების მომზადებული მცოდნე და ზრდილობიანია, სანამ ხელფასს უხდიან. მაგრამ ესთეტიკური თვალსაზრისით ზარმაცი, მომხიბვლელი კეთილგანწყობილი ქართველია, როდესაც ის ლამაზი გარეგნობითა და შესაფერისი კოსტიუმით იწონებს თავს. მართალია, ის ზარმაცი, სიამოვნების მაძიებელი არსებაა, რომლის ზნეობაზე უკეთესია ნაკლები ითქვას, მაგრამ მისი სასიამოვნო გარეგნობა და კარგი ბუნება, აგრეთვე დენდის იერი, როგორც ჩანს, მას ყველგან საყვარელ ადამიანად აქცევს. როგორც ჩანს, მასზე უკეთ ვერავინ აცნობიერებს, რომ მას მსოფლიოში ყველაზე სუფთა ჯიშის რეპუტაცია და სახელი აქვს და მისი ულამაზესი წევრების რიცხვს ეკუთვნის (38-39).

Nor is this reputation belied as he is seen, in his long white coat with its silver or gold cartridge or powder tubes sewn across his chest, with his cap of white lamb's - wool perched jauntily on one side of his head, to say nothing of his personal charm of countenance, which is often of the greatest beauty. Round his waist is a silver or gold girdle from which hang a handsome sword and straight dagger, both cased in the same precious metals. Of the Persians one sees but little in the European quarters. One must seek the narrow dirty bazaars near the river - bank to obtain a glimpse of these scowling sallow fanatics, in their dark clothes and tall black lambskin caps. As a matter of fact, though Persian subjects, they are not of Iranian blood, but belong to the wild Turkman tribes which overran Persia, and whose descendants, now known as Turkis, to-day hold almost the entire northern part of the dominions of the Shah. But to the traveller it is the Tatar, after the Georgian, who proves of the greatest interest. True, he has little beauty either in feature, figure, or costume to recommend him, but nevertheless there is a peculiar attraction, humorous rather than ornamental perhaps, about the squat, narrow - eyed tribesman, in his ragged clothes and absurd *papak* or enormous hat of ragged wool. To attempt, during a short stay in the country, to unravel the complicated tribal system of the race is an impossibility, so one must deal with him merely as he appears as an item of the crowd, in his baggy trousers, and blue cotton coat with its outstanding pleated skirt, and his ridiculous head - gear mentioned above. In Tiflis he is everywhere: here driving a string of lanky camels with their clanging bells of brass and copper; here sitting silently smoking his *kalyan* water pipe - in one of the painted and carved balconies of the many caravanserais in the oriental quarter of the town; there, again, purchasing a bundle of European goods to take away with him and trade in his native steppes. And to this picture of oriental peoples must be added the Russian soldier, stolid and upright, well - fed and well - uniformed, polite and religious, doffing his cap to the *ikons* at the street corners, the very picture of health. (38-39)

ეს რეპუტაცია ასევე უდავოა, როდესაც მას ვხედავთ თავის გრძელ, თეთრ ქურთუკში მკერდზე მიკერებული ვერცხლის ან ოქროს სამასრეებით ანუ დენტის მიღებით, თავზე ერთ მხარეს ყოჩაღად მორგებულ თეთრი კრაველის ქუდით, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი ფიზიონომიის მომხიბვლელობაზე, რომელიც ხშირად ულამაზესია. წელზე მას ვერცხლის ან ოქროს ქამარი უკეთია, რომელზეც ჰკიდია ლამაზი ხმალი და სწორი ხანჯალი აგრეთვე ძვირფასი ლითონის ქარქაშებით. ევროპულ უბნებში სპარსელებს იშვიათად თუ დაინახავ. მდინარის ნაპირთან ვიწრო, ბინძური ბაზრები უნდა მოძებნო, რომ დაინახო ეს მოღუშულ სახიანი და ფერმკრთალი ფანატიკოსები, მუქ ტანსაცმლითა და მაღალი შავი კრაველის ქუდებით. სინამდვილეში, თუმცა ისინი სპარსეთის ქვეშევრდომები არიან, მათ ირანული სისხლი კი არ აქვთ, არამედ ველურ თურქმანულ ტომებს მიეკუთვნებიან, რომლებმაც სპარსეთი წალეკეს და რომელთა შთამომავლები, რომლებიც ახლა ცნობილნი არიან როგორც თურქები, დღეს შაჰის სამფლობელოს თითქმის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს ფლობენ. მაგრამ მოგზაურისთვის ქართველის შემდეგ ყველაზე საინტერესო თათარია. მართალია, მას არც სახის ნაკვთები, არც გარეგნობა და არც სამოსი აქვს ისეთი ლამაზი, რომ წარგიდგინოთ, მაგრამ მასში, ამ ჩასკვნილ ვიწროთვალეზიან თვისტომში, მის ძონძებსა და უცნაურ ფაფახსა თუ შალის დაფლეთილ უზარმაზარ ქუდში არის რაღაც განსაკუთრებული, შესაძლოა, უფრო თავმესაქცევი, ვიდრე დეკორატიული, მიმზიდველობა. ქვეყანაში ხანმოკლე ყოფნის დროს, შეუძლებელია რასის რთული ტომობრივი სისტემის ამოცნობა, ამიტომ მას მხოლოდ ისე უნდა შეხედო, როგორც ბრბოს ნაწილს თავისი ფართო შარვლითა და ბამბის ლურჯ ქურთუკში გამორჩეულ ნაკვეციანი ქვედაკაბითა და ზემოთ ნახსენები უცნაური ქუდით. ტფილისში ის ყველგანაა: აქ ბრინჯაოსა და სპილენძის ზარის წკარუნით აქლემებს მიერეკება; აქ ზის და ჩუმად ეწევა თავის ყალიონს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში. მრავალრიცხოვანი ქარვასლების

ერთ-ერთ მოხატულ და მოჩუქურთმებულ აივანზე; იქვე ყიდულობს ევროპულ საქონელს, მშობლიურ სტეპებში სავაჭროდ წასაღებად. აღმოსავლური ხალხების ამ სურათს უნდა დაემატოს რუსი ჯარისკაცი, უემოციო და გამართული, მაძდარი და კარგი მუნდირით, თავაზიანი და რელიგიური, რომელიც ქუჩის კუთხეებში ხატების წინ ქუდს იხდის, და სწორედ რომ ჯანმრთელობის გამოსახულებაა. (38-39)

Nor is the Russian the sole type of the army of the empire, for the mounted Cossacks, mud - bespattered and none too tidy, canter and courage (40) on their ponies up and down the streets, setting out for, or arriving from, some outlying station or distant town — and of them, with their absolute indifference to food and temperature, one cannot form too high an opinion. Scatter these varied races on the streets of Tiflis, add types of all the wild tribes of the Caucasus, with a sprinkling of officers in uniform and well - dressed ladies, and can obtain some idea of the appearance of the inhabitants of the town.

არც რუსი წარმოდგენს იმპერიის არმიის ერთადერთ ტიპს: ტალახიანი და არც თუ ისე სუფთა და მოწესრიგებული ცხენოსანი კაზაკები ქუჩებში ჩორთითა და გაბედულად (40) დააქროლებენ თავიანთ დაბალ ცხენებს, რომელიდაც მოშორებულ სადგურში თუ შორეულ ქალაქში მიდიან ან იქიდან ბრუნდებიან, ხოლო საკვებისა და ამინდის მიმართ მათი აბსოლუტური გულგრილობის გამო, მათზე მაღალი წარმოდგენა ვერ შეგექმნება. გაფანტეთ ეს მრავალფეროვანი რასები ტფილისის ქუჩებში, დაუმატეთ კავკასიის ყველა ველური ტომის ტიპი, მუნდირში გამოწყობილი ოფიცრებისა და კარგად ჩაცმული ქალბატონების მცირე რაოდენობა და მიიღებთ გარკვეულ წარმოდგენას ქალაქში მცხოვრებთა გარეგნობის შესახებ.

The palace is a handsome building of great size, which, while possessing perhaps no great architectural beauty, is amply suited to its purpose, and cannot fail to impress not only the native of the country, but also the civilised traveller, with the magnificence of the Russian Court. Within it is gorgeously decorated: great clusters of palms, innumerable glass chandeliers, and a quantity of gold paint, give it the most brilliant appearance, a fit setting for the gorgeous semi - European, semioriental crowds that flock its *salons* on reception nights (42).

სასახლე დიდი ზომის კარგი შენობაა, რომელიც, ალბათ, არ გამოიჩევა განსაკუთრებული სილამაზით, მაგრამ სავსებით შეესაბამება თავის დანიშნულებას და რუსეთის კარის ბრწყინვალეობა შთაბეჭდილებას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის მკვიდრზე, არამედ ცივილიზებულ მოგზაურზეც. მისი ინტერიერი შესანიშნავადაა მორთული: პალმების დიდი ბუჩქები, უთვალავი მინის ჭადი და დიდი რაოდენობით ოქროს ვარაყი მას ძალიან ბრწყინვალე იერსახეს სძენს, რაც შესაფერისი ადგილია ჩინებული ნახევრად ევროპელი, ნახევრად აღმოსავლელი ხალხისთვის, რომელიც სადამოს მიღებებზე იკრიბება მის სალონებში.

Of European Tiflis there remains but little to be said, unless it be to avow the great comforts of that most excellent hostelry, the Hôtel de Londres, over which Madame Richter and her son so ably preside, and which well bears out its reputation of being one of the most comfortable hotels, not only in Russia, but almost in the world. And none knows better than the traveller how much of his pleasure depends upon the quarters he finds to lodge in. One other fact, too, remains to be noticed, the entire absence of the Continental system of *cafés* ; search far and wide, there is nothing that answers to the idea of the *café* of France and Europe in general.

ევროპული ტფილისის შესახებ სათქმელი ბევრი აღარაფერია, გარდა დიდი კომფორტისა შესანიშნავ სასტუმრო „ლონდონში“, რომელსაც ასე უნარიანად მართავენ მაძამ რიხტერი და მისი ვაჟი და რომელიც ასე კარგად ადასტურებს მისი, როგორც ერთ-ერთ ყველაზე

კომფორტული სასტუმროს რეკუტაციას არა მხოლოდ რუსეთში, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოში. ხოლო მოგზაურზე უკეთ არავინ იცის, თუ რამდენად არის მისი სიამოვნება დამოკიდებული იმ უბანზე, სადაც უნდა გაჩერდეს. კიდევ ერთი ფაქტი უნდა აღინიშნოს: კაფეების კონტინენტური სისტემის სრული არარსებობა; რამდენიც არ უნდა ეძებო, არაფერია ისეთი, რაც შეესაბამება საფრანგეთის და ზოგადად ევროპის კაფეს იდეას.

From the civilised part of Tiflis, with its handsome streets and shops, it is little more than a step to the maze of winding alleys and narrow byways that form the oriental quarter and the bazaars. It is here probably that the traveller will find most to interest him, for though the bazaars offer but little attraction to him who is conversant with those of Persia and the East, any one fresh from Europe cannot fail to be struck with their characteristics. What a bustle and stir of life there is there! what mud in wet weather, and dust in fine! what dirt in both! But, suffer as one may from either, or from the pushing, brawling crowd of humanity, and the offensive smells with which the streets are filled, no one ought to be deterred from a leisurely stroll through the oriental town.

ტფილისის ცივილიზებული ნაწილიდან, მისი ლამაზი ქუჩებითა და მაღაზიებით, ერთი ნაბიჯია მიხვეულ-მოხვეული ქუჩებისა და ვიწრო ქუჩაბანდების ლაბირინთამდე, რომლებიც აღმოსავლურ კვარტალსა და ბაზრებს ქმნიან. მოგზაური ალბათ უფრო აქ აღმოაჩენს იმას, რაც დაინტერესებს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბაზრები ნაკლებად მიმზიდველია იმისთვის, ვისაც სპარსეთისა და აღმოსავლეთის ბაზრები უნახავს, ევროპიდან ახლად ჩამოსული ადამიანი შეუძლებელია არ გაოცდეს მათი თავისებურებებით. რა ფაციფუცი და აურზაურია! რა ტალახია წვიმიან, მტვერი კი კარგ ამინდში! რა სიბინძურეა ორივე შემთხვევაში! მაგრამ, როგორც არ უნდა შეწუხდე ერთის თუ მეორის, ან ხმაურიანი ბრბოს დაჯახებისა და საშინელი სუნით სავსე ქუჩების გამო, არავინ უნდა შეიკავოს თავი აღმოსავლურ ქალაქში მშვიდი გასეირნებისგან.

Cosmopolitan as this quarter is, it possesses characteristics to be seen probably nowhere else in the world. The great ill-built caravanserais, with their overhanging balconies of painted and carved wood, belong neither to Russia nor Persia, though the *samovar* (urn) and *kalyan* (water pipe) hail from each respectively, and without a number of both no balcony, and scarcely a shop, is complete. Often the footpath for passengers consists of a narrow curbstone from which the wayfarer is hustled and hustled by the hurrying crowd, only to be hurled back again against the walls of the houses by a lumbering camel which usurps all the room and all the sound of the street by its awkward bulk and its clanging bells. Everywhere are strange narrow-eyed Tatars and Turkis of Northern Persia, hailing one another in unknown guttural tongues; gaily dressed Georgians and natives of Daghestan, gaudy with weapons; cringing Jews and Armenians; policemen yelling out orders which seem never to be obeyed, - a very Babel of nations and languages, such as must delight the heart of the traveler (46).

როგორი კოსმოპოლიტურიც არ უნდა იყოს ეს უბანი, მას ისეთი თავისებურება აქვს, როგორიც ალბათ მსოფლიოში არსად არის. ცუდად აშენებული დიდი ქარვასლები მათი წინ წაწეული მოხატული და მოჩუქურთმებული ხის აივნებით, არც რუსეთს ეკუთვნის და არც სპარსეთს, თუმცა სამოვარი (ჩაიდანა) და ყალიონი (წყლის მილი) მათი მხრიდან მოდის და მათ გარეშე სრულყოფილი არც აივანია და არც მაღაზია. ხშირად საფეხმავლო ბილიკი ქვის ვიწრო გზისპირა, რომელიც მოგზაურს აგდებს აზვირთებულ ბრბოში, რათა შემდეგ სახლების კედლებზე მიაგდოს მძიმედ მიმავალმა აქლემმა, რომელიც თავისი მოუქნელი მასითა და ზარების წკარუნით მთელ გარემოსა და ქუჩას იპყრობს. ყველგან არიან ჩრდილოეთ სპარსეთის უცნაური ვიწროთვალება თათრები და თურქმანები, რომლებიც ერთმანეთს უცნობ ხორხისმიერ ენებზე ესაუბრებიან; ნაირფრად ჩაცმული ქართველები და დაღესტნელები,

მბრწყინავი იარაღით; მლიქვნელი ებრაელები და სომხები; პოლიციელის მიერ წამოყვრიებული ბრძანებები, რომლებსაც, როგორც ჩანს, არასოდეს ემორჩილებიან – ერებისა და ენების ნამდვილი ბაბილონია, რომელიც მოგზაურის გულს უნდა ახარებდეს (46).

I spent Easter in Tiflis, and thus had an opportunity of witnessing the beautiful service which, in the Orthodox Church, marks the end of Lent. The ritual of the Russian Church, together with the architecture and decoration of the churches, lends not a little to the impressiveness of such scenes, and the old Byzantine cathedral of Tiflis formed as picturesque a background to the religious ceremony as could well be imagined. (...) There is no necessity here to enter into any of the details of the ritual of this beautiful service of the Orthodox Church, for at this spot I am dealing with it solely as an effect, a most telling reminiscence of a visit to Tiflis.

აღდგომა ტფილისში გავატარე და საშუალება მქონდა მენახა შესანიშნავი ღვთისმსახურება, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში დიდმარხვის დასასრულს აღნიშნავს. რუსული ეკლესიის რიტუალი, ეკლესიების არქიტექტურასა და მორთულობასთან ერთად, არც თუ მცირე მნიშვნელობას ანიჭებს შთამბეჭდავ სცენებს და ტფილისის ძველი ბიზანტიური საკათედრო ტაძარი რელიგიური ცერემონიის ისეთ თვალწარმტაც ფონად იქცა, როგორც წარმოდგენაც კი შეიძლება. (...) აქ საჭიროდ არ მიმაჩნია მართლმადიდებლური ეკლესიის ამ მშვენიერი მსახურების რიტუალის დეტალებში ჩაწვდომა, რადგან მას მხოლოდ ეფექტის სახით, ტფილისში ვიზიტის ყველაზე თვალსაჩინო მოგონებად განვიხილავ.

(...) On the gate being opened the priests and choir hurried in, crying out again and again, “Christ is risen! Christ is risen!” Each bore in his hand a lighted taper, from which the nearer members of the crowd lit their own, passing the flame from candle to candle, for every one in the building bore a taper. It took but a minute to change the entire scene, and as the priests made their way to the altar, swinging their censers as they went, the gloom of the church disappeared, and the building was lit by thousands upon thousands of candles: where, before, the dusk had prevented one seeing either the church or the crowd, every picture and detail of the decoration of the building, and every figure in it, became distinct. The seething mass of humanity took form and shape; and where, before, one recognised only dark figures in an incense-laden twilight; one recognised now the officers of the Government, in uniforms bespangled with orders, accompanied by their wives and daughters, and, beyond, a vision of a thousand upturned faces full of reverence and attention. The altar, now a blaze of light, sparkled and shone with its treasures, and the richly jewelled mitres and cloth of-gold robes of the priests dazzled the eyes.

როგორც კი კარიბჭე გაიღო, მღვდლები და გუნდი სწრაფად შემოვიდნენ და კვლავ ღაღადებდნენ: „ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!“ ყოველ მათგანს ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, რომლიდანაც ახლო მდგომი ადამიანები თავიანთ სანთლებს ანთებდნენ და ცეცხლს სანთლიდან სანთელს გადასცემდნენ, რადგან შენობაში ის ყველას ხელში ეჭირა. მთელი სცენის შეცვლას მხოლოდ ერთი წუთი დასჭირდა და როცა მღვდლები საკურთხევისკენ გაემართნენ და გზადაგზა საკმეველს აკმევედნენ საცეცხლურებით, ეკლესიის სიბნელე გაქრა და შენობა ათასობით და ათასობით სანთლით განათდა: იქ, სადაც მანამდე ბინდი ხელს უშლიდა ეკლესიისა და ხალხის დანახვას, ნათელი გახდა შენობის დეკორაციის ყოველი გამოსახულება და დეტალი, ისევე როგორც ყველა იქ მყოფი, მკაფიოდ გამოჩნდა. ადამიანების აღლავებულმა მასამ ფორმა და მოხაზულობა შეიძინა. და იქ, სადაც ადრე საკმეველით სავსე ბინდში მხოლოდ ბნელ ფიგურებს გაარჩევდი, შესაძლებელი იყო ცოლებისა და ქალიშვილების თანხლებით, ორდენებით დამშვენებულ მუნდირებში გამოწყობილი

სახელმწიფო მოხელეების შეცნობა, მათგან მოშორებით კი ათასი თავაწეული პატივისცემითა და ყურადღებით სავსე სახის ხილვა (49-50).

Then, as the congratulations of Easter were taking place, I pushed my way out through the crowd, into the brightly-illuminated streets, in time to see the Governor-General drive away, escorted by his bodyguard of Cossacks, who galloped beside his carriage, bearing blazing torches on long poles.

შემდეგ, როცა აღდგომის მილოცვა დაიწყო, სწორედ დროზე გავაღწიე ბრბოს განათებულ ქუჩებში, რომ დამენახა გენერალ-გუბერნატორის წასვლა კაზაკი მცველების თანხლებით, რომლებიც მისი ეტლის გვერდით მიაჭენებდნენ ცხენებს ხელში გრძელ ჭოკებზე ანთებული ჩირაღდნებით.

Easter Sunday was High Holiday; every man, woman, and child in their best clothes, intent upon pleasure and enjoyment, and the public gardens were thronged, while military bands made music. What an echoing and re-echoing of congratulations! what a bowing to the revered *ikons* at the church doors and street corners ! and, as the day progressed, what a number of men who had enjoyed themselves a little too much! But there was no fighting, no roughness, and the police are lax upon this great feast, and, as long as no fighting takes place, do not interfere. The streets are full of hurrying *droschkies*, with their burdens of officers in uniforms and ladies, paying their visits of congratulation, or driving to the palace. Ay! Easter Sunday in Tiflis is a sight to be seen, and never have I witnessed, in spite of its various nationalities, a better-behaved crowd—though sometimes far from sober—than thronged the streets and gardens on this feast-day. (50-51)

აღდგომის კვირა დიდი დღესასწაული იყო; საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილ ყველა მამაკაცს, ქალსა და ბავშვს სიამოვნება და გართობა სურდა, საზოგადოებრივი ბაღები ხალხით იყო სავსე, სამხედრო ორკესტრები კი უკრავდნენ. მილოცვების როგორი ექო! ეკლესიის კარებთან და ქუჩის კუთხეებთან პატივცემულ ხატებს როგორ სცემენ თავყვანს! დღის განმავლობაში რამდენმა კაცმა იმხიარულა ზომაზე მეტად! მაგრამ არც ჩხუბი ყოფილა და არც უხეშობა; პოლიცია არამკაცრად ეკიდება ამ დიდ დღესასწაულს და სანამ ჩხუბი არ მოხდება, არ ერევა. ქუჩები სავსეა სწრაფად მიმავალი დროშკებით, რომლებიც ვინმესთან ან სასახლეში მიმავალი უნიფორმიანი ოფიცრებითა და ქალბატონებითაა სავსე და აი! აღდგომის კვირა ტფილისში ყურადღების ღირსი სანახაობაა და მისი მრავალი ეროვნების მიუხედავად, მე არასოდეს მინახავს იმაზე უფრო ზრდილი, თუმცა ზოგჯერ არაფხიზელი ბრბო, რომელიც ამ დღესასწაულზე ქუჩებსა და ბაღებში მოძრაობდა. (50-51)

Such, briefly, is Tiflis; a city presenting two entirely different characteristics — the Oriental in its decadence, and the Western Civilisation that Russia has brought with her, sweeping before her all that is rude and outworn, and in place thereof raising a city of which any country in the world might well be proud. (51)

მოკლედ, ასეთია ტფილისი, ქალაქი, რომელშიც წარმოდგენილია ორ სრულიად განსხვავებული თავისებურება – აღმოსავლური, თავისი დეკადანსით, და რუსეთის მიერ მოტანილი დასავლური ცივილიზაცია, რომელიც ანადგურებს ყოველივე უხეშსა და დრომოჭმულს და მის ადგილზე აშენებს ქალაქს, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერმა ქვეყანამ შეიძლება იამაყოს. (51)

თარგმნა ირინე ნაჭყებია